**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** არაბისტიკა / Arabic Studies

**მისანიჭებელი კვალიკიფაცია:** აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი / BA in Oriental Studies

სპეციალობა - არაბისტიკა

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **240 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი სპეციალობის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ, ისე სხვა ფაკულტეტებზე.

  დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში  სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის  ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე).  დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში  სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40);

- **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის  მიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის  (50+120) შესრულებაა.

**არაბისტიკის** საბაკალავრო ძირითადი პროგრამის **120 ECTS**  კრედიტი განაწილებულია სასწავლო და კვლევით კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს,  შორის:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS**  კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS**  კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS**  კრედიტიდან  **90 ECTS** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, ხოლო **20 ECTS** კრედიტი - სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა თავისი არსით რეგიონმცოდნეობითი პროფილის პროგრამაა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის და კერძოდ, არაბული აღმოსავლეთის რეგიონს ასწავლის კომპლექსურად - ენის, ისტორიის, რელიგიის, ისლამურ-არაბული კულტურის,  ლიტერატურის,

ხელოვნების, ისლამური სამართლისა და მისი ინსტიტუტების, პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების, არაბული ქვეყნების თანამედროვე ყოფისა და რეალიების კუთხით. პროგრამაში აქცენტი კეთდება აგრეთვე ქართულ-არაბულ ისტორიულ, ენობრივ, კულტურულ კავშირებზე.

პროგრამის მიზანია, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის ფონზე, მოამზადოს არაბისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც, დღიდან დაარსებისა, აღმოსავლეთმცოდნეობა ზოგადად და კერძოდ, არაბისტიკა პრიორიტეტული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგია. ის, რომ ახლო აღმოსავლეთთან მეზობლობა და მჭიდრო ისტორიული ურთიერთობა ბუნებრივად ითხოვს ჩვენი ქვეყნისგან სათანადო პრობლემატიკისა და ცოდნის ფლობას, აღმოსავლეთმცოდნეობის და ქართველოლოგიური სკოლის სათავეებთან მდგომ დიდ ქართველ მეცნიერებს, უნივერსიტეტის ფუძემდებლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობითი სკოლის ტრადიციებთან ერთად, პროგრამა კარგად იცნობს და ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, არაბისტიკის დარგში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ორიენტალისტიკური სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, სადაც დღითიდღე მატულობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და ბაკალავრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის მულტიდისციპლინური პროფილის გამო არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ არა მხოლოდ აღმოსავლეთმცოდნეობის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული

აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებსა და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც კომპლექსური დარგი და არაბისტიკა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდები

**სწავლის შედეგი:**
არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ასევე მას უნდა შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

| | | |
|---|---|---|
| **1.1** | ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები. | **ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.2** | საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში. | **საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.3** | აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები. | **აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.4** | რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით). | **საფაკულტეტო არჩევითი შესავალი** |
| **1.5** | ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები. | **ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.6** | ინგლისური ან რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე, გაღრმავების შემთხვევაში, საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე. | **ინგლისური ან რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო ევროპული ენა; არჩევით); |
| **1.7** | ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო | ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით) |

| | | |
|---|---|---|
| | კურსი (არჩევით) | |
| **1.8** | აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სემიტოლოგიაზე და კერძოდ არაბისტიკაზე და სემიტოლოგიური სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სემიტოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის. | **აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br><br>**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (სავალდებულო);<br><br>**არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (სავალდებულო);<br><br>**მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია** (არჩევითი) |
| **1.9** | სემიტურ ენათა სტრუქტურაზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებზე წარმოდგენა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება არაბულ ენაზე). ლინგვისტური კომპარატივისტიკის დაწყებითი უნარები. | **სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (ძირითადი);<br>**არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (ძირითადი);<br>**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)<br>**ზოგადი ენათმეცნიერება** (არჩევითი) |
| **1.10** | სპეციალობის მაპროფილებელ არაბულ ენაში საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B2 დონის ფლობა, რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე არაბულენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (სავალდებულო);<br><br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (სავალდებულო);<br><br>**ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი);<br><br>**სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) |

| | | |
|---|---|---|
| | გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას და წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.<br><br>თანამედროვე არაბულ დიალექტებში (კერძოდ, ეგვიპტურსა და სირიულში) ისეთი დაწყებითი პრაქტიკული ცოდნის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას არაბულ გარემოში, კერძოდ, კონტაქტის დამყარებას იმ ადამიანებთან, რომლებმაც ან არ იციან თანამედროვე არაბული სალიტერატურო ენა, ან ურჩევნიათ საკუთარ დიალექტზე დაამყარონ კომუნიკაცია. | |
| 1.11 | ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე. | **ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები** (არჩევითი);<br>**ბიბლიის შესავალი 1, 2** (არჩევითი);<br>**ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი** (არჩევითი) |
| 1.12 | არაბული ქვეყნების შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიისა და კულტურის ზოგადი კურსის ცოდნა; არაბთა წვლილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში; არაბული | **არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი** |

| | | |
|---|---|---|
| | ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; არაბთა ადგილისა და როლის გააზრების უნარი ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. არაბული რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. | **პერიოდი)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br>**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო);<br>**ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო** (არჩევითი);<br>**ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)** (არჩევითი) |
| **1.13** | არაბ-საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა; ისლამური ფაქტორის გათვალისწინების უნარი ამ ურთიერთობებში; საქართველოს შესახებ არაბული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) ზოგადინფორმაციული ცოდნა. | **არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (სავალდებულო);<br>**ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია)** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)** |

| | | |
|---|---|---|
| | | (არჩევითი);<br>**აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br>**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.14** | არაბული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა ისლამამდელი ე.წ. „ჯაჰილიის“ პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე არაბული ლიტერატურის ჩათვლით. არაბული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაციისა და ფოლკლორული ნიმუშების შესახებ ინფორმაციული ცოდნა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებზე წარმოდგენა; არაბული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის დაწყებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება, რაც ეფუძნება ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტიკური ხერხების თეორიულ ცოდნას და მათი ოპერირების პრაქტიკულ უნარს. | **შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი** (სავალდებულო);<br><br>**ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორია** (სავალდებულო);<br><br>**თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლა)** (არჩევითი);<br><br>**ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია** (არჩევითი);<br><br>**შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია)** (არჩევითი) |
| **1.15** | თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების | **არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (სავალდებულო);<br><br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (სავალდებულო); |

| | | |
|---|---|---|
| | გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება;<br>სათარგმნ ენასთან ერთად ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა). | **თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლა)** (არჩევითი);<br><br>**ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი** 1, 2 (არჩევითი);<br><br>**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.16** | არაბულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) შესახებ ინფორმაცია, ასევე არაბული კულტურისა და მეცნიერების ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საბაზისო ცოდნა.<br>ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში არაბიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში არაბული ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფის უნარი. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა.<br>ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. შუა საუკუნეების არაბულ-ქართული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენა, კერძოდ, ქრისტიანული არაბული ლიტერატურის და ქართული საეკლესიო მწერლობის ურთიერთობათა საკვანძო საკითხების | **არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (ძირითადი);<br><br>**აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br><br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br><br>**ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1, 2** (არჩევითი);<br><br>**ქართული სახისმეტყველება** (არჩევითი);<br><br>**„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში** (არჩევითი) |

| | | |
|---|---|---|
| | ცოდნა. | |

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

| | | |
|---|---|---|
| **2.1** | ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება. | **ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **2.2** | ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა. | **აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **2.3** | საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ან ერთ–ერთ სხვა ევროპულ ენაზე, ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის. | **ინგლისური ან რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა; არჩევით); |
| **2.4** | ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის. | ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით) |
| **2.5** | ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. | **საფაკულტეტო არჩევითი შესავალი** |
| **2.6** | ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ | **ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო |

| | | |
|---|---|---|
| | იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად. | სავალდებულო) |
| **2.7** | არაბული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები.<br><br>არაბულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.<br><br>პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი;<br><br>არაბული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი. | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (სავალდებულო);<br><br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (სავალდებულო);<br><br>**ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1, 2** (არჩევითი);<br><br>**ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი);<br><br>**სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) |
| **2.8** | საბიბლიოთეკო და სამუზეუმო ფონდებზე მუშაობის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების რედაქტირების, რეფერირების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი. | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (სავალდებულო);<br>**არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (სავალდებულო);<br>**არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური** |

| | | |
|---|---|---|
| | | **ანალიზი** 1, 2 (არჩევითი) |
| **2.9** | სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების არაბულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები. | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (სავალდებულო);<br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (სავალდებულო);<br>**ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი);<br>**სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) |
| **2.10** | პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობრივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-რელიგიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში.<br><br>ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. | **აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br>**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (სავალდებულო);<br>**არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7** (ძირითადი);<br>**ენათმეცნიერების შესავალი** (სავალდებულო საფაკულტეტო);<br>**ზოგადი ენათმეცნიერება** (არჩევითი);<br>**ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი)** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია** (არჩევითი);<br>**არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (სავალდებულო);<br>**შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი** (სავალდებულო); |

| | | |
|---|---|---|
| | | **ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორია** (სავალდებულო);<br>**ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია** (არჩევითი);<br>**არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (არჩევითი);<br><br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები** (არჩევითი);<br>და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები |

- **დასკვნის უნარი:**

| |
|---|
| **აღმოსავლეთმცოდნეობის** ბაკალავრს **არაბისტიკის** სპეციალობით შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების კრიტიკული შეფასება, ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით. აქვს დარგობრივ სფეროში (აღმოსავლეთმცოდნეობა, არაბისტიკა) |

| |
|---|
| ანალიტიკური უნარი, პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება. |

- **კომუნიკაციის უნარი:**

| |
|---|
| **აღმოსავლეთმცოდნეობის** ბაკალავრს **არაბისტიკის** სპეციალობით აქვს მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით; ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა. |
| არაბულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (არაბულის) საკომუნიკაციო ფუნქციით ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი. |

- **სწავლის უნარი:**

| |
|---|
| **აღმოსავლეთმცოდნეობის** ბაკალავრს **არაბისტიკის** სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება. მას ესმის ცოდნის |

| |
|---|
| გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. |

- **ღირებულებები:**

| |
|---|
| **აღმოსავლეთმცოდნეობის** ბაკალავრს **არაბისტიკის** სპეციალობით აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. |
| **აღმოსავლეთმცოდნეობის** ბაკალავრს **არაბისტიკის** სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**დისკუსია/დებატები –** დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა -** ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი –** ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**როლური და სიტუაციური თამაშები -** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

**დემონსტრირების მეთოდი –** ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -**

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

**არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ქმნის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.

ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამა არაბული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი არაბულ ენაზე და არაბულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

**დასაქმების სფეროები:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული **აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი** მზადდება, როგორც ფართო პროფილის სპეციალისტი აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში სათარჯიმნო, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, საარქივო-სამუზეუმო, სარედაქტორო, სარეფერენტო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. თავისი დარგობრივი ცოდნით, მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარით და ზოგად ტრანსფერული უნარებით შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ

ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის და სადაც თავის ძირითად სპეციალობასთან კომბინაციაში დამატებითი სპეციალობის კომპეტენციებსაც ეფექტურად გამოიყენებს. ის შეიძლება დასაქმდეს პედაგოგიურ სექტორში (შესაბამისი დამატებითი პედაგოგიური პროგრამის გავლისა და მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში); ასევე თარჯიმნად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:**
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე

**დამატებითი ინფორმაცია:**

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია **სწავლების მეორე სემესტრიდან** (მაპროფილებელი ენის სწავლება შვიდი სემესტრის მანძილზე გრძელდება და საბაკალავრო პროგრამის 8 სემესტრში გასავლელად არაბული ენის პირველ საფეხურზე სწავლების **მეორე სემესტრშივე** უნდა დარეგისტრირდეს სტუდენტი); არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის **საფაკულტეტო კლასიკური ან აღმოსავლური ენების 10 კრედიტი** სასურველია, მეორე სემიტური ენის, კერძოდ, **ებრაულის** შესასწავლად იქნას გამოყენებული (ეს, ერთი მხრივ, გაუადვილებს სტუდენტს როგორც სპეციალობის არაბულის, ისე საფაკულტეტო ებრაულის გააზრებულად დაძლევას, მეორე მხრივ, მაგისტრტურაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მისცემს საშუალებას, უკვე სამაგისტრო დონეზე გაიღრმავოს ბაკალავრიატში მიღებული მეორე სემიტური ენის ცოდნა); ასევე რეკომენდებულია, ევროპული ენის **საფაკულტეტო სავალდებულო 10 კრედიტის** გარდა, სრულიად **თავისუფალი 10 კრედიტის** ხარჯზე, სტუდენტმა გაიღრმავოს ამ ენის ცოდნა და აიმაღლოს მისი დონე თსუ ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ევროპული ენების დონეთა მიხედვით დიფერენცირებული სასწავლო კურსების მეშვეობით.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დამატებითი სპეციალობის არჩევისას ვურჩევთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, პედაგოგიკის დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება არაბისტიკის ძირითად პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს. არ არის რეკომენდებული დამატებით სპეციალობად რომელიმეენოვანი ფილოლოგიური პროფილის პროგრამის აღება, რადგან ეს ტექნიკურად პრაქტიკულად განუხორციელებადია და სტუდენტის კვირეული 20 საათიანი სასწავლო ბადიდან ძალიან ამოვარდნილი.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევარები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ.

| | | |
|---|---|---|
| 1. | გოჩა ჯაფარიძე | პროფესორი |
| 2. | ნანა ფურცელაძე | ემერიტუსი პროფესორი |
| 3. | მაია ანდრონიკაშვილი | ასოცირებული პროფესორი |
| 4. | დარეჯან გარდავაძე | ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი |
| 5. | ნანი გელოვანი | ასოცირებული პროფესორი |
| 6. | მარიამ ნანობაშვილი | ასოცირებული პროფესორი |
| 7. | გიორგი ლობჟანიძე | ასოცირებული პროფესორი |
| 8. | ნინო ეჯიბაძე | ასოცირებული პროფესორი |
| 9. | ნინო დოლიძე | ასისტენტ პროფესორი |
| 10. | ნინო ანთიძე-კახიანი | თსუ ენების ცენტრის არაბული ენის მასწავლებელი |

| | | |
|---|---|---|
| 11. | ინგა ზურაბიშვილი | თსუ ენების ცენტრის არაბული ენის მასწავლებელი |
| 12. | არაბული ენის ექსპერტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სააგენტოდან „პარტნიორობა განვითარებისთვის“ (ყოფილი დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი, რომელთანაც 15 წლოვანი პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს) | |

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას.
არაბისტიკის კათედრა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სააგენტოს „პარტნიორობა განვითარებისთვის“ (ყოფილი დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი) დახმარებით აღჭურვილია სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით (ტელევიზორი, სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები); ეგვიპტიდან იღებს სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე სააგენტოს დახმარებით და ფინანსური მხარდაჭერით 2001 წლიდან არაბული ენის პრაქტიკული კურსის წასაკითხად რეგულარულად, ყოველ სასწავლო წელს მოწვეულია არაბული ენის ექსპერტი, რომელიც პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში ეხმარება ქართველ სტუდენტებს. ექსპერტი აქტიურად არის ჩართული არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის არაბული ენის პრაქტიკულ კურსში.

საქართველოში ბოლო წლებია, მოქმედებს ერაყის რესპუბლიკისა და კატარის სახელმწიფოს საელჩოები, რომლებიც გახსნის დღიდან თანამშრომლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის კათედრასთან სხვადასხვა ფორმით. აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოში ერაყის საელჩოს მხარდაჭერით და ფინანსური დახმარებით ჯერ 2010, შემდეგ 2014 წელს გამოიცა ქართულენოვანი **თანამედროვე არაბულის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო,** რომელიც ძირითად საბაკალავრო სახელმძღვანელოს წარმოადგენს არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის პირველი 5 სემესტრის სტუდენტთათვის. ამავე

საელჩოს დაფინანსებით 2011 წ-ს დაიბეჭდა **არაბულ-ქართული ლექსიკონი** აღნიშნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსათვის, რაც საკმაოდ კარგი მხარდაჭერაა არაბული ენის საუნივერსიტეტო ფორმატში სწავლებისთვის.

არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების მცირე თემატური ბიბლიოთეკა და კათედრის წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრება ხდება პირადი კონტაქტების საფუძველზეც, მაგ., კაიროს არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა 2010 წ-ს ამ ინსტიტუტის საკმაოდ პრესტიჟული ფრანგულენოვანი სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „ისლამისტიკის“ 55 ნომერი გადასცა საჩუქარად თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ბიბლიოთეკას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ–ერთ პრიორიტეტს სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთათვის უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ენობრივი პრაქტიკა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კაიროს უნივერსიტეტს შორის დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ფარგლებში 1999 წლიდან ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტი სტუდენტებისა და პროფესურის მოკლევადიანი სტაჟირებები (სამიდან ხუთ კვირამდე) კაიროს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბული ენის ცენტრში (უკანასკნელ წლებში უკვე კაიროს უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე, არაბული ენის სწავლების მეთოდოლოგიურ პროგრამაზე). სტუდენტთა ამგვარი სტაჟირებები რეგულარულ ხასიათს ატარებს, ყოველწლიურად 6–7 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიემგზავრება მოკლევადიანი სტაჟირებით კაიროში, სადაც ენობრივ პრაქტიკასთან ერთად კულტურული პროგრამის მონაწილეც ხდება – ათვალიერებს ეგვიპტური კულტურის ძეგლებს არა მხოლოდ კაიროსა და მისი შემოგარენის, არამედ მთელი ეგვიპტის მასშტაბით (ქ. ალექსანდრია, სინას ნახევარკუნძული, სამხრეთ ეგვიპტე - ლუქსორი და კარნაკი და სხვ.). ეს ყველაფერი ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის სრული დაფინანსებით ხდება. სტუდენტთა მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამა არაბული ენის ცოდნის საკმაოდ მაღალ დონეს ითხოვს (სტუდენტები კაიროში ისმენენ არაბულენოვან ლექციებს, ინტერაქტივში არიან ცენტრის პროფესურასთან), ამიტომაც, ჩვეულებრივ, ამ პროგრამისთვის სტუდენტები ირჩევიან ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსებიდან არაბულ ენაში მათი აკადემიური დონის მიხედვით. ეგვიპტეს უკავშირდება კიდევ ერთი, გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტი სტუდენტებისთვის. ათ წელზე მეტია ეგვიპტის განათლების სამინისტრო ყოველწლიურად გამოყოფს რამდენიმე სტიპენდიას ქართველი სტუდენტებისთვის კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის ცენტრში სრულ სასწავლო წლიანი

პროგრამით სასწავლებლად. 3-5 სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ყოველწლიურად მიემგზავრება ერთწლიანი ენობრივი სტაჟირებით კაიროში, იძენს ახალ გამოცდილებას, ახალ ლიტერატურას, ეცნობა ქვეყანას.

ქუვეითში საქართველოს დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბული ენის სწავლების მხარდაჭერის მიზნით, ქუვეითის განათლების სამინისტრო 2007 წ-დან ქუვეითის უნივერსიტეტის ენათა ცენტრში ყოველწლიურად გამოყოფს სრული დაფინანსებით (გზა, სწავლა, საცხოვრებელი) ორ-სამ ადგილს მთელი სასწავლო წლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის სპეციალობის სტუდენტისთვის.

კატარში საქართველოს საელჩოს დახმარებით, ბოლო სამი წელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაბული ენის სწავლების მხარდაჭერის მიზნით, კატარის უნივერსიტეტის ენათა ცენტრის არაბული ენის პროგრამა არაარაბთათვის ყოველწლიურად გამოყოფს სრული დაფინანსებით (გზა, სწავლა, საცხოვრებელი) ორ ადგილს მთელი სასწავლო წლით არაბისტიკის სპეციალობის ქართველი სტუდენტისთვის.

2003 და 2004 წლებში ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს იმდროინდელი დიპლომატიური კორპუსის ძალისხმევით დამყარდა აკადემიური კონტაქტები ლიბანთან, ლიბანში საქართველოს საპატიო კონსულის დახმარებით ტრიპოლის უნივერსიტეტის ენების ცენტრი უცხოელ სტუდენტთათვის დაწესებული სტიპენდიით იღებდა ქართველ სტუდენტებს (სულ 5 სტუდენტია ნამყოფი ამ პროგრამით) არაბულში ხანგრძლივვადიანი (ერთწლიანი) სტაჟირებისთვის სრული დაფინანსებით. ეს პროგრამა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს.

მაროკოს რაბატ-აგდალის მუჰამედ მეხუთის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა და კომპარატივისტული ლიტერატურული ლაბორატორია ბოლო ხუთი წელია, კოლეგიალურად თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის კათედრასთან, მასპინძლობს კვლევითი სტიპენდიებით ჩასულ ქართველ დოქტორანტებს, იწვევს მათ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ქართველ არაბისტებს.

დამასკოსა და ლატაკიის უნივერსიტეტებთან თსუ-ს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, ქართველი სტუდენტები სიტუაციის გართულებამდე ყოველწლიურად მიემგზავრებოდნენ სირიის სასწავლო ცენტრებში სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირების პროგრამებით. ძირითადად დადიოდნენ დამასკოს არაბული ენის ცენტრში უცხოელთათვის ერთწლიანი სტაჟირების პროგრამით.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი სისტემატურად მასპინძლობს ახლო აღმოსავლეთის, ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების აღმოსავლეთმცოდნე პროფესორებს, რომლებიც ინტენსიურ სალექციო კურსებს, საჯარო ლექციებსა და კონსულტაციებს სთავაზობენ ინსტიტუტის სამივე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების, მათ შორის **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს.

გარდა ზემოაღნიშნული საუნივერსიტეტო აქტივობებისა, თსუ არაბისტიკის პროგრამების სტუდენტები ინდივიდუალური აქტივობებითაც აღწევენ წარმატებებს - მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების საკონკურსო პროგრამების შესახებ და ეძლევათ რეკომენდაცია, მონაწილეობა მიიღონ ამგვარ კონკურსებში (არაბისტი სტუდენტები გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში სწავლობდნენ და სწავლობენ ოსლოს, ლეიდენის და სხვ. უნივერსიტეტებში).

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/კათედრის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** საბაკალავრო დამატებითი პროგრამა **არაბისტიკაში** Arabic Studies

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 60 ECTS კრედიტი

**არაბისტიკის** საბაკალავრო დამატებითი პროგრამის **60** კრედიტიდან **40** კრედიტი ეთმობა ძირითად მაპროფილებელ დისციპლინებს, **20** კრედიტი დამატებითი სპეციალობის არჩევით დისციპლინებს (სადაც სტუდენტი ირჩევს არაბისტიკის ძირითადი პროგრამის ნებისმიერ სავალდებულო ან არჩევით დისციპლინას, რომლის წინაპირობასაც აკმაყოფილებს).

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი არაბისტიკის საბაკალავრო დამატებითი პროგრამა ინარჩუნებს ამავე დარგის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის რეგიონმცოდნეობით პროფილს, სასწავლო დისციპლინათა გარკვეული კონცენტრაციით ახლო აღმოსავლეთის და კერძოდ, არაბული აღმოსავლეთის რეგიონზე - ენის, ისტორიის, რელიგიის, ისლამურ-არაბული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ისლამური სამართლისა და მისი ინსტიტუტების, პოლიტიკური სისტემებისა და რეჟიმების, არაბული ქვეყნების თანამედროვე ყოფისა და რეალიების კუთხით. პროგრამაში ასახულია აგრეთვე ქართულ-არაბული ისტორიული, ენობრივი, კულტურული კავშირებიც.

პროგრამის მიზანია, აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, არაბისტიკის დარგში ზოგადი ცოდნა მისცეს სტუდენტს და აღჭურვოს იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მისი შანსების გაზრდას შრომით ბაზარზე ძირითად (მაპროფილებელ) სპეციალობასთან კომბინაციაში წარმატებით დასასაქმებლად.

პროგრამა ითვალისწინებს ზოგადად აღმოსავლეთმცოდნეობის და კერძოდ, არაბისტიკის დარგში სწავლების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და მსოფლიო ორიენტალისტიკური სასწავლო და კვლევითი ცენტრების გამოცდილებას, ძირითად აქცენტს აკეთებს რეგიონის ენის შესწავლაზე, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე, ასევე ითვალისწინებს მზარდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესს არაბული ქვეყნების მიმართ, ისლამური ფაქტორის როლს არაბული რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის განსაზღვრაში.

არაბისტიკის საბაკალავრო დამატებითი პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც კომპლექსური დარგი და არაბისტიკა, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** წინაპირობის გარეშე

**სწავლის შედეგი:**

არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამით მომზადებულ ბაკალავრს უნდა ჰქონდეს დარგის შესაბამისი ზოგადი ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად და არჩევით დისციპლინებში, პირველ რიგში შესაბამისი ენობრივი ცოდნა; ასევე მას უნდა შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული ცოდნის საკუთარ ძირითად სპეციალობასთან კომბინირებით პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

არაბისტიკის დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

| | | |
|---|---|---|
| 1.1 | აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად სემიტოლოგიაზე და კერძოდ არაბისტიკაზე და სემიტოლოგიური სკოლის ტრადიციებზე საქართველოში, ასევე სემიტოლოგიის განვითარების მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისა და ქართული კულტურის ისტორიის კვლევისთვის.<br><br>სემიტურ ენათა სტრუქტურაზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებზე წარმოდგენა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება არაბულ ენაზე). | **აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br><br>**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (არჩევითი);<br><br>**არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (არჩევითი);<br><br>**მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია** (არჩევითი)<br>**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (არჩევითი);<br>**არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5** (ძირითადი); |
| 1.2 | სპეციალობის მაპროფილებელ არაბულ ენაში ენობრივი საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარება (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლება (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის გამოყენების | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5** (სავალდებულო);<br><br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (არჩევითი);<br><br>**ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული** |

| | | |
|---|---|---|
| | უნარი სხვადასხვა თემატიკაზე არაბულენოვანი ტექსტების გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.<br><br>თანამედროვე არაბულ დიალექტებში (კერძოდ, ეგვიპტურსა და სირიულში) ისეთი დაწყებითი პრაქტიკული ცოდნის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას არაბულ გარემოში, კერძოდ, კონტაქტის დამყარებას იმ ადამიანებთან, რომლებმაც ან არ იციან თანამედროვე არაბული სალიტერატურო ენა, ან ურჩევნიათ საკუთარ დიალექტზე დაამყარონ კომუნიკაცია. | **პრაქტიკული კურსი** (არჩევითი);<br><br>**სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) |
| **1.3** | ისლამის როგორც რელიგიის და სოციალური ინსტიტუტის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა. ისლამში რელიგიურ ვალდებულებებისა და თეოლოგიური დოქტრინების, შუა საუკუნეების და თანამედროვე ისლამის ისტორიის საბაზისო ცოდნა. ზოგადი წარმოდგენა ისლამური სახელმწიფოს კონცეფციასა და ისლამურ მოძრაობებზე. | **ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია)** (სავალდებულო);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები** (არჩევითი);<br>**ბიბლიის შესავალი 1, 2** (არჩევითი);<br>**ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი** (არჩევითი) |
| **1.4** | არაბული ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ზოგადი კურსის ცოდნა; არაბთა წვლილი მსოფლიო კულტურულ | **არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი); |

| | | |
|---|---|---|
| | მემკვიდრეობაში; არაბული ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; არაბთა ადგილისა და როლის გააზრების უნარი ახლო აღმოსავლეთისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. არაბული რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; თანამედროვე არაბულ აღმოსავლეთში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. | **არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (არჩევითი);<br>**არაბული ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br>**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო/სხვა ფაკულტეტის სტუდენტთათვის არჩევითი);<br>**ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო** (არჩევითი);<br>**ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)** (არჩევითი) |
| **1.5** | არაბ-საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ისტორიული ურთიერთობების საბაზისო ცოდნა; ისლამური ფაქტორის გათვალისწინების უნარი ამ ურთიერთობებში; საქართველოს შესახებ არაბული წყაროების (ისტორიული, გეოგრაფიული ხასიათის) ზოგადინფორმაციული ცოდნა. | **არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია)** (სავალდებულო);<br>**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს** |

| | | |
|---|---|---|
| | | **ისტორიული ურთიერთობები** (არჩევითი);<br>**ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)** (არჩევითი);<br>**აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br>**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო/სხვა ფაკულტეტის სტუდენტთათვის არჩევითი) |
| **1.6** | არაბული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა. არაბული ფოლკლორის ჟანრული კლასიფიკაციისა და ფოლკლორული ნიმუშების შესახებ ინფორმაციული ცოდნა. ფოლკლორისა და შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებზე წარმოდგენა; არაბული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის დაწყებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება, რაც ეფუძნება ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტიკური ხერხების თეორიულ ცოდნას და მათი ოპერირების პრაქტიკულ უნარს. | **შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი** (არჩევითი);<br><br>**ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორია** (არჩევითი);<br><br>**თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლა)** (არჩევითი);<br><br>**ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია** (არჩევითი);<br><br>**შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია)** (არჩევითი) |
| **1.7** | თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. არაბულიდან ქართულად და ქართულიდან არაბულად | **არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა** (არჩევითი); |

| | | |
|---|---|---|
| | წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, სხვადასხვა სფეროში სათარჯიმნო პრაქტიკისთვის მომზადება; თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება;<br>სათარგმნ ენასთან ერთად ქართული ენის ცოდნის სრულყოფა (პრაქტიკული გრამატიკა, ფუნქციური სტილისტიკა). | **სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (არჩევითი);<br><br>**თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლა)** (არჩევითი);<br><br>**ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი** 1, 2 (არჩევითი);<br><br>**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო) |
| **1.8** | არაბულ-ქართული კონტაქტების ძირითად ასპექტთა (პოლიტიკური ფონი, კულტურული ურთიერთგაცვლა, ენობრივი ნასესხობანი და სხვ.) შესახებ ინფორმაცია, ასევე არაბული კულტურისა და მეცნიერების ქართულ კულტურაზე ზეგავლენის შესახებ საბაზისო ცოდნა.<br>ენათა ინტერფერენციის პრობლემებზე და ლექსიკური სესხების პროცესებზე ზოგადი წარმოდგენა; ქართულში არაბიზმების დამკვიდრების შესახებ ძირითადი ინფორმაცია; ქართულში არაბული ლექსიკური ნასესხობების ფონეტიკური და სემანტიკური ტრანსფორმაციების შესახებ საბაზისო ცოდნა, მათი თვისებრივი მაჩვენებლების გამოყოფის უნარი. ეტიმოლოგიური კვლევის მეთოდებზე ზოგადი წარმოდგენა.<br>ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ზოგადი ისტორიის საბაზისო ცოდნა. შუა საუკუნეების არაბულ-ქართული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ წარმოდგენა, კერძოდ, | **არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები** (არჩევითი);<br><br>**აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br><br>**აღმოსავლური კულტურა** (არჩევითი);<br><br>**ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1, 2** (არჩევითი);<br><br>**ქართული სახისმეტყველება** (არჩევითი);<br><br>**„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში** (არჩევითი) |

| | | |
|---|---|---|
| | ქრისტიანული არაბული ლიტერატურის და ქართული საეკლესიო მწერლობის ურთიერთობათა საკვანძო საკითხების ცოდნა. | |

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

| | | |
|---|---|---|
| **2.1** | არაბული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.<br><br>არაბულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.<br><br>პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის გამოხატვის, ნათლად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გადმოცემის უნარი;<br><br>არაბული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი. | **არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5** (სავალდებულო);<br><br>**სათარჯიმნო პრაქტიკუმი არაბულში** (არჩევითი);<br><br>**ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1, 2** (არჩევითი);<br><br>**ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი);<br><br>**სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) |
| **2.4** | პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. | **აღმოსავლეთმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);<br>**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი** (არჩევითი);<br>**არაბული ენა 1, 2, 3, 4, 5** (ძირითადი);<br>**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო/სხვა ფაკულტეტის სტუდენტთათვის არჩევითი);<br>**ზოგადი ენათმეცნიერება** (არჩევითი); |

| | | |
|---|---|---|
| | | ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია) (სავალდებულო);<br>არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები) (არჩევითი);<br>არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი) (არჩევითი);<br>ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია (არჩევითი);<br>არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა (არჩევითი);<br>შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი (არჩევითი);<br>ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორია (არჩევითი);<br>ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (არჩევითი);<br>არაბულ–ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები (არჩევითი);<br>ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები (არჩევითი);<br>ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები) (არჩევითი);<br>ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი) (არჩევითი);<br><br>აღმოსავლური კულტურა (არჩევითი);<br>აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები |

| | | |
|---|---|---|
| | | (არჩევითი);<br>და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები |

- **დასკვნის უნარი:**

| |
|---|
| დარგობრივ სფეროში  არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, ანალიზის საფუძველზე სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა. |

- **კომუნიკაციის უნარი:**

| |
|---|
| მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით.<br>ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები. |
| არაბულ ენაზე პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა; საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში სპეციალობის ენის (არაბულის) საკომუნიკაციო ფუნქციით გამოყენების უნარი. |

- **სწავლის უნარი:**

| |
|---|
| სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.  საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. |

- **ღირებულებები:**

| |
|---|
| კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა. |
| სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა. |

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

**დემონსტრირების მეთოდი –** ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** -

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

**არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შეძენისას **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორიციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ქმნის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.

ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამა არაბული ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი არაბულ ენაზე და არაბულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან

კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

**დასაქმების სფეროები:**
ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის და სადაც არაბისტიკის დამატებითი სპეციალობის კომპეტენციებს გამოიყენებს თავის ძირითად სპეციალობასთან კომბინაციაში.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:**
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე

**დამატებითი ინფორმაცია:**

არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია მაქსიმუმ, **სწავლების მეოთხე სემესტრიდან** (მაპროფილებელი ენის სწავლება ხუთი სემესტრის მანძილზე გრძელდება და საბაკალავრო პროგრამის 8 სემესტრში გასავლელად

არაბული ენის პირველ საფეხურზე მაქსიმუმ, სწავლების **მეოთხე სემესტრში** უნდა დარეგისტრირდეს სტუდენტი); არაბისტიკის დამატებითი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის მსურველი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის **საფაკულტეტო კლასიკური ან აღმოსავლური ენების 10 კრედიტი** სასურველია, მეორე სემიტური ენის, კერძოდ, **ებრაულის** შესასწავლად იქნას გამოყენებული (ეს, ერთი მხრივ, გაუადვილებს სტუდენტს როგორც დამატებითი სპეციალობის არაბულის, ისე საფაკულტეტო ებრაულის გააზრებულად დაძლევას, მეორე მხრივ, მაგისტრტურაში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში მისცემს საშუალებას, უკვე სამაგისტრო დონეზე გაიღრმავოს ბაკალავრიატში მიღებული მეორე სემიტური ენის ცოდნა); ასევე რეკომენდებულია, ევროპული ენის **საფაკულტეტო სავალდებულო 10 კრედიტის** გარდა, სრულიად **თავისუფალი 10 კრედიტის** ხარჯზე, სტუდენტმა გაიღრმავოს ამ ენის ცოდნა და აიმაღლოს მისი დონე თსუ ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ევროპული ენების დონეთა მიხედვით დიფერენცირებული სასწავლო კურსების მეშვეობით.

არაბისტიკის დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სასურველია, შემოვიდნენ სტუდენტები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, არქეოლოგიის, კულტურის კვლევების, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოლოგიის და სხვ. ძირითადი პროგრამებიდან; ასევე სასურველია სტუდენტთა მიღება სოციალ-პოლიტიკური პროფილის პროგრამებიდან, ეკონომიკის ფაკულტეტის სხვადასხვა პროგრამიდან. ამ ძირითადი პროგრამების კომბინირება არაბისტიკის დამატებით პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე დასაქმების მეტ შანსს. არ არის რეკომენდებული ძირითადი სპეციალობის რომელიმეენოვანი ფილოლოგიური პროფილის სტუდენტთა მიერ არაბისტიკის დამატებითი პროგრამის აღება, რადგან ეს ტექნიკურად პრაქტიკულად განუხორციელებადია და სტუდენტის კვირეული 20 საათიანი სასწავლო ბადიდან ძალიან ამოვარდნილი.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **არაბისტიკის** საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევარები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ.

| | | |
|---|---|---|
| 1. | გოჩა ჯაფარიძე | პროფესორი |
| 2. | ნანა ფურცელაძე | ემერიტუსი პროფესორი |

| | | |
|---|---|---|
| 3. | მაია ანდრონიკაშვილი | ასოცირებული პროფესორი |
| 4. | დარეჯან გარდავაძე | ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი |
| 5. | ნანი გელოვანი | ასოცირებული პროფესორი |
| 6. | მარიამ ნანობაშვილი | ასოცირებული პროფესორი |
| 7. | გიორგი ლობჟანიძე | ასოცირებული პროფესორი |
| 8. | ნინო ეჯიბაძე | ასოცირებული პროფესორი |
| 9. | ნინო დოლიძე | ასისტენტ პროფესორი |
| 10. | ნინო ანთიძე-კახიანი | თსუ ენების ცენტრის არაბული ენის მასწავლებელი |
| 11. | ინგა ზურაბიშვილი | თსუ ენების ცენტრის არაბული ენის მასწავლებელი |
| 12. | არაბული ენის ექსპერტი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სააგენტოდან „პარტნიორობა განვითარებისთვის“ (ყოფილი დსთ-ს ქვეყნებთან ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი, რომელთანაც 15 წლოვანი პარტნიორული ურთიერთობა გვაკავშირებს) | |

# სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, არაბისტიკის კათედრა
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **არაბისტიკა**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი დარეჯან გარდავაძე
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: N 57/2011
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

**პროგრამის სტრუქტურა**

| საფაკულტეტო კურსები / მოდულები | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | | |
| კოდი | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა ECTS | სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში | | სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში | | | დასკვნითი გამოცდის ჩაბარება | საგანზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | ლექტორი/ლექტორები |
| | | | ლექცია | სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმი | ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება | შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადება | დასკვნითი გამოცდის მოსამზადება | | | შემოდგომა | გაზაფხული | |
| | ენათმეცნიერების შესავალი | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| | აკადემიური წერა | 5 | 15 | 30 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| | ფილოსოფიის შესავალი | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| | საქართველოს ისტორია | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | |
| | **ინგლისური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ინგლისური ენა A1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა A1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა A1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა A2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა A2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა A2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა B1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა B1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა B1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა B2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ინგლისური ენა B2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ინგლისური ენა B2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **გერმანული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | გერმანული ენა A1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა A1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა A1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა A2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა A1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა A2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა A2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა B1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა A2.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა B1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა B1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა B2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა B1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | გერმანული ენა B2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | გერმანული ენა B2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ფრანგული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ფრანგული ენა A1.1 | | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა A1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა A1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა A2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა A2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა A2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფრანგული ენა B1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა B1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა B1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა B2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ფრანგული ენა B2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ფრანგული ენა B2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ესპანური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ესპანური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ესპანური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ესპანური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **იტალიური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | იტალიური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | იტალიური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | იტალიური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **რუსული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | რუსული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | რუსული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | რუსული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ახალი ბერძნული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ახალი ბერძნული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ახალი ბერძნული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **შვედური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | შვედური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | შვედური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | შვედური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ნორვეგიული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ნორვეგიული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ნორვეგიული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **პოლონური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | პოლონური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | პოლონური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | პოლონური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ქართული ენა** | **10** | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის) | | | | | | | | | | | |
| | ქართული ენა A1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა A1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა A1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა A2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა A1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა A2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა A2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა B1.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა A2.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა B1.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა B1.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა B2.1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა B1.2 ან ტესტი | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ქართული ენა B2.2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ქართული ენა B2.1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | |
| | **ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ძველი ბერძნული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ძველი ბერძნული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ძველი ბერძნული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ლათინური ენა(საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ლათინური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ლათინური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ლათინური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **სპარსული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | სპარსული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | სპარსული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | სპარსული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **თურქული ენა(საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | თურქული ენა1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | თურქული ენა2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | თურქული ენა1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ებრაული ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ებრაული ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ებრაული ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ებრაული ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **იაპონური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | იაპონური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | იაპონური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | იაპონური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ჩინური ენა (საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ჩინური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ჩინური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ჩინური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | **ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)** | **10** | | | | | | | | | | |
| | ახალი სომხური ენა 1 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | ახალი სომხური ენა 2 | 5 | | 60 | 45 | 8 | 10 | 2 | ახალი სომხური ენა 1 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS )** | | | | | | | | | | | | |
| | შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ირმა რატიანი |
| | შესავალი ისტორიის მეცნიერებებში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| | შესავალი არქეოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ეთნოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი კულტურის მეცნიერებებში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი კავკასიოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | **შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში** | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ქართულ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ლ. ხაჩიძე, ა. ხარანაული |
| | შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში | 5 | 15 | 30 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| | შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი რომანულ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შესავალი სლავურ ფილოლოგიაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი ამერიკისმცოდნეობაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | |
| | შესავალი პედაგოგიკაში | 5 | 30 | 15 | 60 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | |
| **სპეციალობის სავალდებულო კურსები – 100 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | |
| | არაბული ენა 1 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 2 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 1 | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 3 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 2 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 4 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 3 | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 5 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 4 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 6 | 5 | 30 | 60 | 21 | 6 | 5 | 3 | არაბული ენა 5 | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბული ენა 7 | 5 | 30 | 60 | 21 | 6 | 5 | 3 | არაბული ენა 6 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| | არაბულიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა | 5 | 30 | 15 | 55 | 10 | 12 | 3 | არაბული ენა 4 | ✓ | | ნ. ფურცელაძე, ნ. დოლიძე, გ. ლობჟანიძე |
| | შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი | 5 | 30 | 30 | 40 | 10 | 12 | 3 | არაბული ენა 2 | | ✓ | დ. გარდავაძე, ნ. დოლიძე |
| | ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორია | 5 | 30 | 30 | 40 | 10 | 12 | 3 | შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი | ✓ | | დ. გარდავაძე, ნ. დოლიძე |
| | არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები) | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ნ. გელოვანი, მ. ტიკაძე |
| | არაბული ქვეყნების ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი) | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | არაბული ქვეყნების ისტორია (შუა საუკუნეები) | ✓ | | ნ. გელოვანი, მ. ტიკაძე |
| | თანამედროვე არაბული ქვეყნები (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება) | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ნ. გელოვანი |
| | არაბულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები | 5 | 30 | 30 | 45 | 8 | 9 | 3 | არაბული ენა 3 | ✓ | | მ. ანდრონიკაშვილი მ. ნანობაშვილი |
| | სათარჯიმნო პრაქტიკუმი (არაბული ენა) | 5 | | 60 | 45 | 8 | 9 | 3 | არაბული ენა 4 | | ✓ | მ. ნანობაშვილი, ნ. ეჯიბაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია) | 5 | 30 | 15 | 64 | 4 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნ. გელოვანი |
| | სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი | 5 | 15 | 15 | 75 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | მ. ნანობაშვილი |
| | **საბაკალავრო ნაშრომი** | 10 | | | | | | | | ✓ VIII | | |
| **სპეციალობის არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | |
| | ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობები | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | გ ჯაფარიძე, მ. მახარაძე |
| | აღმოსავლური კულტურა | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ნ. გელოვანი |
| | ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია | 5 | 30 | 30 | 45 | 8 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ✓ | რ. გაჩეჩილაძე |
| | ლიტერატურის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია | 5 | 30 | 15 | 64 | 4 | 9 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ი. რატიანი<br>ს. ტაბუცაძე |
| | **ქართული ენის სწორმეტყველება და სტილისტური რეზერვები[1]** | **5** | **30** | **15** | **63** | **4** | **10** | **3** | **წინაპირობის გარეშე** | | ✓ | **ი. სანიკიძე** |
| | ეგვიპტური დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი | 5 | 30 | 30 | 45 | 8 | 9 | 3 | არაბული ენა 4 | | ✓ | ნ. ეჯიბაძე |
| | სირიული დიალექტის ელემენტარული პრაქტიკული კურსი | 5 | 30 | 30 | 45 | 8 | 10 | 2 | არაბული ენა 4 | ✓ | | ხ. თუმანიშვილი |
| | თანამედროვე არაბი ავტორი ორიგინალში (სირიულ–ამერიკული ლიტერატურული სკოლა) | 5 | 15 | 30 | 55 | 10 | 12 | 3 | არაბული ენა 4 | | ✓ | დ. გარდავაძე, ნ. დოლიძე |
| | **არაბულ-სპარსულ-ოსმალური პალეოგრაფიის სასწავლო პრაქტიკა** | **5** | | **45** | **64** | **4** | **9** | **3** | **არაბული ენა 4 / სპარსული ენა 4 / თურქული ენა 4** | | ✓ | **თამარ აბულაძე** |
| | **რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან** | | | | | | | | | | | |
| | *ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)* | 5 | 30 | 30 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |

[1] 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხლის სემესტრამდე აღნიშნული კურსი ცხადდებოდა სახელწოდებით „ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 1, ქართული ტექსტის ლინგვისტურ–სტილისტური ანალიზი 2“

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი)* | 5 | 30 | 30 | | | | | ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები) | | | |
| | *ზოგადი ენათმეცნიერება* | 5 | 30 | 30 | | | | | ენათმეცნიერების შესავალი | | | |
| | *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1* | 5 | 30 | 30 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2* | 5 | 30 | 30 | | | | | ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 | | | |
| | *აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება* | 5 | 30 | 30 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება და საქართველო* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ქართული სახისმეტყველება* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *შედარებითი მითოლოგია (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური და ქართული მითოლოგია)* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია* | 5 | 30 | 15 | | | | | შესავალი არქეოლოგიაში | | | |
| | *„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ბიბლიის შესავალი 1* | 5 | 30 | 15 | | | | | წინაპირობის გარეშე | | | |
| | *ბიბლიის შესავალი 2* | 5 | 30 | 15 | | | | | ბიბლიის შესავალი 1 | | | |
| **თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | |

# დამატებითი პროგრამა არაბისტიკა (60 ECTS კრედიტი)

| სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოდი | სასწავლო კურსის დასახელება | კრედიტების რაოდენობა ECTS | სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში | | სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში | | | დასკვნითი გამოცდის ჩაბარება | საგანზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემეტრი | | ლექტორი/ლექტორები |
| | | | ლექცია | სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკ | ლექცია–პრაქტიკულ მეცადინეობისათვ ის | ზეპირეული გამოცდის/ დასკვნითი გამოცდის მოსამზადებ ა | | | | | | |
| H. 15-02-1 | არაბული ენა 1 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| H. 15-02-2 | არაბული ენა 2 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 1 | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| H. 15-02-3 | არაბული ენა 3 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 2 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| H. 15-02-4 | არაბული ენა 4 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 3 | ✓ | | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| H. 15-02-5 | არაბული ენა 5 | 6 | 30 | 90 | 18 | 4 | 5 | 3 | არაბული ენა 4 | | ✓ | ენების ცენტრის მასწავლებელი |
| H. 15-01 | ისლამი (რელიგია. ისტორია. ცივილიზაცია) | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ნ. გელოვანი |
| H. 15-06 | თანამედროვე არაბული ქვეყნები (პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება) | 5 | 30 | 15 | 63 | 4 | 10 | 3 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ნ. გელოვანი |
| **არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | |
| | **სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი** | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი